კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3
ტელეფონი - 032 2 47 42 42

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი 4 თებერვალს გამართავს სამეცნიერო კონფერენციას -"ძველი ქართული ფილოლოგია",რომელიც ეძღვნება აკადემიკოს მზექალა შანიძის ოთხმოცდაათი წლის იუბილეს.

ამ თარიღის აღსაღნიშნად ღონისძიებები უკვე ჩატარდა მეცნიერებათა აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აქტივობის მიზანია კიდევ ერთხელ აღინიშნოს მზექალა შანიძის განსაკუთრებული დამსახურება და ღვაწლი.

კონფერენცია გაიმართება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ილია აბულაძის სახელობის საგამოფენო დარბაზში. ღონისძიებაზე მოხსენებებს წაიკითხავენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები. მოხსენება გაკეთდება მზექალა შანიძის მამის ასევე უდიდესი მეცნიერის აკაკი შანიძის შესახებ. ღონისძიების ფარგლებში, კონფერენციის - "ძველი ქართული ფილოლოგია" მონაწილეები და სხვა სტუმრები ასევე შეიტყობენ ახალ და საინტერესო ფაქტებს აკადემიკოსის ცხოვრებიდან.

მზექალა შანიძე არის ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგი. 1953 წლიდან იგი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი. არის 100-ამდე სამიეცნიერო ნაშრომის, თარგმანებისა და მონოგრაფიების ავტორი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ენის განვითარებაში. ზემოთხსენებული საქმიანობა არის მცირედი ჩამონათვალი იმ სამუშაოსი, რომელიც მან გასწია წლების განმავლობაში.

„მწერლება, ჟურნალისტებმა, ენათმეცნიერებმა ყველამ ერთად უნდა იზრუნონ ქართული ენის განვითარებაზე“ - მზექალა შანიძე

საკონტაქტო პირი:
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
მარიამ ჯაბიძე
mariamjabidze@gmail.com **577 977 199**
თამარ გურგენიძე
friends@manuscript.ac.ge **599 899 628**